ცნობის ფურცელი

№ 2392 ოთხშაბათი, 28 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2392

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სალომე ივანეს ასული გელაზაროვისა, კეკელა პეტრეს ასული ზურაბოვისა, ალექსანდრე იაკობის ძე მირაქოვი და პავლე ივანეს ძე პაპალოვი უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას, პირველი—საყვარელ დედისა, მეორე—დისა და დანარჩენნი სიდედრის დედისა

სოფიო პეტრეს ასულის ზერიძისას

გამოასვენებენ ხუთშაბათს, 29 იანვარს, ფომინის ქ. № 6. სახლი ალადათოვისა, რომის კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიაში, შუაბაზარში, დილის 10 საათზე, სადაც გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—44—1)

წარმ. 45.

ქართული თეატრი

აბონემენ № 14

ხუთშაბათს, 29 იანვარს, 1904 წ. ქ-ნ **ეფემია მესხის** მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასას მიერ წარმოდგენილი იქნება

ღ ა ლ ა ტ ი

დრამა 5 მოქ. თ. სუმბათაშვილისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, იორდანიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ქ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ „ინჟინერი სიძე“ აზიანისა.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 28 იანვარს, 1904 წ., კარტავინას საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

ფრა-დიავოლო და სევილიელი დალაქი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, სელიუკ; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, რასკი, გლადკოვი, შაკოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 29 იან. კასირის ბენ. „კამორრა“; 30 იან. წარმ. არ იქნება; 31 იან. რადინას ბენ. „ტოსკა“; 2 თებ. ენკვისტის ბენ. „პიკოვაია დამა“. 3 თებ. „მშვენიერი ელენე“ (2 აქტი), ბოშების სიმღერები და ნეაპოლიტანური სიმღერები წარ. „მასკარადის“ შემდეგ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ვ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

გ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—11 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—9)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ატნიპარმაკლიძისა. (0—6.—40)

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბეგიაშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ. ი. ბ ე გ ი აშ ვ ი ლ ი ს ა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

რუსეთი და იაპონია

ტფილისი, 27 იანვარს

გასაოცარ ამბავს გვაუწყებს ტელეგრაფი შორეულ-აღმოსავლეთიდან. იაპონია უკვე თავს დასხმია რუსეთის ესკადრასა და ორი ჯავშნიანი გემი და ერთი კრეისერი კიდეც დაუზარალებია. შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკი ადმირალი ალექსეევი ამ სიტყვით აცნობებს ხელმწიფე იმპერატორს ამ, ჯერჯერობით მაინც, მოულოდნელს ამბავს:

„თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად ვაუწყებ, რომ 26 იანვარს, შუაღამისას, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მოულოდნელად ნაღმით იერიში მიიტანეს ესკადრაზე, რომელიც იდგა პორტ-არტურის განაპირა რეიდზე. მასთან ჯავშნიან გემებს „რეტვიზან“-სა და „ცესარევიჩ“-ს და კრეისერს „პალადა“-ს გვერდები შეუნგრიეს. თუ რამდენად არის დაზიანებული გემები, უკვე შევუდექით გამოკვლევას. დაწვრილებით ცნობებს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას დამატებით ვაუწყებ. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“.

საკვირველია ის სისწრაფე, რომლითაც იაპონია მოქმედებას შეუდგა. სულ სამი დღეა, რაც მან დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა რუსეთთან; რუსეთის უკანასკნელი პასუხის მიღებასაც არ დაუცადა, თუმცა ეს პასუხი უკვე გზაშია და დღე-დღეზე ჩაბარებოდა იაპონიის მთავრობას. ცხადია, იაპონელთ ომი გადაწყვეტილი აქვთ და იმათთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა რუსეთის პასუხს.

რაა მიზეზი ასეთის გადაწყვეტილებისა? რათ არ შეეცადა იაპონია კიდევ მორიგებას მით უმეტეს, რომ დანამდვილებით ამბობდნენ, რუსეთმა კიდევ დაუთმოო? ერთად-ერთი ახსნა შემდეგი უნდა იყოს: იაპონია დარწმუნდა, რომ მის ეროვნულ ინტერესების სრული დაცვა, მის მოთხოვნათა აღსრულება ომოდ არ შეიძლებოდა; დღეს იქნება თუ ხვალ, ომი აუცილებელიაო და ისევ სჯობს მომენტით ვისარგებლოთო.

მომენტი-კი იაპონიისათვის უფრო ხელსაყრელია: იგი კარგა ხანია შეუდგა მზადებას და მომზადდა კიდეც, მაშინ როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ ჯარების გადაზიდვას უნდება, სურსათ-სანოვაგეს ჰყიდულობს, ქვა-ნახშირს იძენს და სხვა.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაც არა საკეთილოა. ნამეტურ ინგლისი ჰყავს გადამტერებული და ეს სახელმწიფო არც-კი ჰფარავს—იაპონიას მხარს დავუჭეროო...

ამრიგად, გამწვავებული კონფლიკტი უაღრეს წერტილამდე ავიდა და სადაო საქმე იარაღით უნდა გადაწყდეს. მშვიდობიანობა, რომელსაც ასეთის ზრუნვითა და სიფრთხილით იცავდნენ, ირღვევა და, ვინ იცის, რამდენი განსაცდელი მოელის ქვეყნიერებას...

როგორც დეპეშიდან სჩანს, იაპონიის ესკადრა რუსეთისას პორტ-არტურთან დასცემია. უკანასკნელის ცნობებით ვიცით, რომ სწორედ ამ ადგილზეა თავმოყრილი რუსეთის ესკადრის უმთავრესი ძალა; იქა სდგას: 7 ჯავშნიანი გემი, 7 კრეისერი, 4 კანონერკა, 2 ნაღმიანი კრეისერი და 12 ნაღმიანი ნავი. სხვა ადგილას რუსეთის ესკადრა სუსტია: ვლადივასტოკში სდგას 4 კრეისერი, ჩემულპოში—1 და სამხრეთ ჩინეთის წყლებშიაც—1; გზაშია კიდევ 1 ჯავშნიანი გემი და 11 ნაღმიანი ნავი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

26 იანვარი

ირკუტსკი. მცხოვრებნი შორეულ-აღმოსავლეთის ამბებს გულის ფანცქალით ელიან. ვაჭრობა შესამჩნევად არ შეჩერებულა; ოქროს მრეწველობის საქმე წინანდებურად მიდის. მოვაჭრენი გაჩნდნენ, რომელნიც სურსათს ყიდულობენ და ფასებს უმატებენ. იაპონელთა ადგილობრივ პატარა კოლონიის მცხოვრებლებმა საგუბერნიო მთავრობას დაცვა და მფარველობა სთხოვეს.

ადესა. ადესაში მყოფი იაპონიის კონსული კამენტარო იჯიმა ვენას წავიდა.

სეული. ჩემულპოსა და ფუზანოს შორის იაპონელთა სავაჭრო გემების მიმოსვლა შესწყდა.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“) იაპონიაში გაცხარებული მუშაობაა. რკინის გზებით ჯარი დიდის სისწრაფით მოდის ნავთსადგურებში, სადაც გემებზე დასხდებიან.

სატახტო ქალაქის ქუჩები სავსეა ჯარით—რუსეთის ელჩი საელჩოს წევრებით და იოკაჰამაში მყოფი უმთავრესი კონსული იაპონიიდან 30 იანვარს წავლენ.

ტოკიო. 25 იანვარს კაბინეტმა ხანგრძლივი და სასწრაფო სხდომა მოახდინა. როგორც ამბობენ, რუსეთის ელჩს წასვლის წინ იმპერატორი ერთხელ კიდევ მიიღებს.

პორტ-არტური. იაპონელები ყველაფერს ჰყიდიან და მიდიან; სხვა მხრივ მშვიდობიანობაა.

პარიზი „ჟურნალ დე დება“ ნანობს, ინგლისის პრესის ერთი ნაწილი რუსეთისადმი სიძულვილით ხელმძღვანელობდა და ამით იაპონია წააქეზაო.—საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში რუსეთის პასუხის გადაცემამდე დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტას არ ელოდნენ. ამ ამბის დიდს მნიშვნელობას არ მალავენ, მაგრამ მოლაპარაკება, შესაძლებელია, მესამე სახელმწიფოს საშუალებით გაგრძელდესო.—ხვალ დელკასე მიიღებს კონსერვატიულ დეპუტატს დენიკოშეს, რომელიც მინისტრებს შეეკითხება რუსეთ-იაპონიის განხეთქილებისა და იმ შედეგის შესახებ, რომელიც მოჰყვება რუსეთ-საფრანგეთისა და ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულების განხორციელებას.

შერბურგი. ინგლისისა და იაპონიის აფიცრებმა საფრანგეთის აფიცრის თანადასწრებით საზღვაო არსენალი დაათვალიერეს. აფიცრები არამხედრულ ტანისამოსით იყვნენ და საზღვაო მინისტრისაგან არსენალის დათვალიერების ნება-რთვა არა ჰქონდათ. საზღვაო მინისტრმა გამოძიება დანიშნა. ამბობენ, საფრანგეთისა და ინგლისის აფიცრები დააპატიმრესო.

პორტ-არტური საქონლის მიღება და გაგზავნა მანჯურიის რკინის გზაზე შეჩერებულია. რუსეთ-ჩინეთის ბანკმა წინადადება მიიღო, კერძო კრედიტის გაცემა შესწყვიტეთო.—ესკადრის გემები ხშირად გადიან ზღვაში.—ზღვის კიდის თვალ-ყურის სადევნელად და სურსათის, უფრო-კი ქვის ნახშირის, დასაცველად საჭირო ზომები მიიღეს. რადგან სურსათი აღარ შემოაქვთ, ფასებმა აიწიეს. 25 იანვარს იაპონელთა დაწესებულებების უმეტესი ნაწილი დაიკეტა და პატრონები პორტ-არტურიდან წავიდნენ. სეულიდან იუწყებიან, იაპონელთა საპიორების ერთი როტა მოვიდაო. რადგან იაპონიის ჯარის მოსვლას ელიან, მცხოვრებნი აღელვებულნი არიან; ცნობები მიიღეს, იაპონიამ მაზამპოში დიდძალი ჯარი გადმოსხაო.

27 იანვარი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული მის იმპერატორებით უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად ვაუწყებ, რომ 26 იანვარს, შუაღამისას, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მოულოდნელად ნაღმით იერიში მიიტანეს ესკადრაზე, რომელიც იდგა პორტ-არტურის განაპირა რეიდზე. ამასთან ჯავშნიან გემებს „რეტვიზან“-სა და „ცესარევიჩ“-ს და კრეისერს „პალადა“-ს გვერდები შეუნგრიეს. თუ რამდენად არის დაზიანებული გემები, უკვე შევუდექით გამოკვლევას. დაწვრილებით ცნობებს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას დამატებით ვაუწყებ. გენერალ—ადიუტანტი ალექსეევი“.

პეტერბურგი. მთავრობის განცხადება: „წარსულ წელს ტოკიოს მთავრობამ მიმართა საიმპერატორო მთავრობას და წინადადება მისცა კორეის საქმეების გამო არსებულ ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ. ამას თხოულობდა იაპონია ვითომდა დიდ ოკეანეს ნაპირებზე თანასწორობისა და მკვიდრ წეს-რიგის დასამყარებლად. რუსეთმა თანხმობა განაცხადა. რადგან ამ დროისთვის შორეულ აღმოსავლეთში უკვე დაარსებულ იქმნა სანამესტნიკო, ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით იაპონიასთან ახალ შეთანხმების პროექტის შედგენა მიენდო გენერალ-ადიუტანტს ალექსეევს. პროექტის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიეღო აგრეთვე ტოკიოში მყოფს რუსეთის ელჩს, რომელსაც ამასთანავე დაევალა იაპონიის

მთავრობასთან მოლაპარაკებაც. თუმცა ამ საგნის შესახებ წარსულ წლის აგვისტოში ტოკიოს მთავრობასთან მოლაპარაკებას ჯერ კიდევ მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ვიცით, იაპონიის საზოგადოებრივი წრეები, ადგილობრივი და აგრეთვე უცხოელთა პრესა თავგამოდებით ცდილობდნენ, იაპონელთა შორის ომის სურვილი აღეძრათ და მთავრობაც რუსეთთან საბრძოლველად გამოეწვიათ. ყველა ამის გავლენის გამო ტოკიოს მთავრობა მოლაპარაკების დროს უფრო მეტსა და მეტს თხოულობდა. ამავე დროს იგივე მთავრობა სასწრაფოდ საომრად ემზადებოდა. ყველა ამ გარემოებამ, რა უქმა უნდა, რუსეთის მშვიდობიანობა მაინც ვერ დაარღვია, მაგრამ იგი იძულებული გახდა სამხედრო და საზღვაო განკარგულებას შესდგომოდა. ამისდა მიუხედავად რუსეთი გულწრფელად მოსურნე იყო, დაეცვა მშვიდობიანობა შორეულ-აღმოსავლეთში, რამდენადაც ამის ნებას აძლევდნენ თავისი უფლებანი და ინტერესები. ამიტომ რუსეთი შესაფერის ყურადღებით მოექცა ტოკიოს მთავრობის განცხადებებს და თანხმობა განაცხადა, შეთანხმების პირობათა თანახმად, აღიაროს იაპონიის სავაჭრო-საეკონომო უპირატესობა კორეის ნახევარ კუნძულზე; ამასთან უფლება მიეცა იაპონიას ჯარით დაიცვას თავისი ინტერესები, თუ ვინიცობაა, კორეიაში უწესოებანი მომხდარიყო. ამისდა მიუხედავად რუსეთი მტკიცედ იცავდა თავის პოლიტიკას კორეის მიმართ, რომლის დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის ხელუხლებლობა უზრუნველ იქმნა როგორც იაპონიასთან დადებულ შეთანხმებით, ისე სხვა სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებით. ამის გამო რუსეთს არ შეეძლო არ მოეთხოვა, რომ: 1) ორსავე სახელმწიფოს მტკიცედ დაეცვა ეს ძირითადი პრინციპი; 2) არც ერთს არ ესარგებლნა კორეის ტერიტორიის რომელისამე ნაწილით სასტრატეგიო საქმეებისათვის, რადგან ამგვარი მოქმედება რომელიმე სახელმწიფოს მიერ ეწინააღმდეგებოდა კორეის დამოუკიდებლობის პრინციპს და, დასასრულ, 3) დაეცვათ გემთა მიმოსვლის სრული თავისუფლება კორეის სრუტეში. მაგრამ ამგვარად შემუშავებულ შეთანხმების პროექტმა არ დააკმაყოფილა იაპონიის მთავრობა, რომელმაც თავის უკანასკნელ წინადადებაში არა თუ ისურვა იმ პირობათა მიღება, რომელიც თავმდები იყო კორეის დამოუკიდებლობისა, არამედ მოითხოვა კიდეც დასახელებულ პროექტში შევეტანა ის დადგენილებანი, რომელიც შეეხება მანჯურიის საქმეს. იაპონიის ამგვარ მოთხოვნილებათა ასრულება, რასაკვირველია, არ შეიძლება, რუსეთის მოქმედება მანჯურიაში უპირველეს ყოვლისა შეეხება ჩინეთს და მერე იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სავაჭრო ინტერესები აქვთ ჩინეთში. ამის გამო საიმპერატორო მთავრობის აზრით არავითარი საბუთი არ იყო კორეის საქმების გამო იაპონიასთან დადებულ ხელ-შეკრულებაში ჩაერთო ისეთი დადგენილებანი, რომელიც შეეხება რუსეთის ჯარის მიერ დაჭერილს ოლქებს. ამასთან საიმპერატორო მთავრობა უარს არა ჰყოფს, როგორც იმას, რომ მანჯურიის სამხედრო ოკუპაციის დასრულებამდე ბოლდიხანს ამ ოლქში უზენაესი უფლება აქვს, ისე სახელმწიფოთა მიერ ჩინეთთან დადებულ ხელ-შეკრულობებით მოპოვებულ უპირატესობას, რაც ეუწყა კიდეც უცხო ქვეყნელ სახელმწიფოთა მთავრობებს. ამიტომ საიმპერატორო მთავრობამ მიანდო რა ტოკიოში მყოფს ელჩს, გადაეცა თავისი პასუხი იაპონიის უკანასკნელს წინადადებაზე, იმედი ჰქონდა, რომ ტოკიოს მთავრობა მხედველობაში მიიღებდა ზემო აღნიშნულ მოსაზრებებს და დააფასებდა რუსეთის სურვილს იაპონიასთან საქმის მშვიდობიანად გათავებისას; მაგრამ იაპონიის მთავრობამ არც კი დაუცადა ამ პასუხის მიღებას და გადასწყვიტა რუსეთთან მოლაპარაკებისა და სადიპლომატო ურთიერთობის მოსპობა. ამრიგად იაპონიის მთავრობა პასუხის მგებელი ხდება ყველა იმ შედეგისა, რაც ასეთ მოქმედებას მოჰყვება; ხოლო საიმპერატორო მთავრობა ჯერ კიდევ მოუცდის საქმეთა მიმდინარეობას და პირველ საჭიროებისათანავე მტკიცე ზომებს მიიღებს შორეულ-აღმოსავლეთში თავის უფლებებისა და ინტერესების დასაცველად“.

პეკინი. კვირას რუსეთის რაზმი მოვიდა აქაურ რუსეთის საელჩოს დამცველ ჯარის გასაძლიერებლად.

შანჰაი. რუსებმა დაითხოვეს ნიუ-ჯანის სადამოჟნო კომისარის ჩინელი თანაშემწე და იმის ადგილას დანიშნეს რუსი მოხელე სტეფანოვი.—ხმა დადის, რუსეთის ჯარი უკვე გადავიდა საზღვარსაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი და იაპონია. ინგლისური გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი სწერს: ჩვენმა მთავრობამ ეხლავე უნდა გამოუცხადოს მთელ ქვეყნიერობას, რომ ინგლისს იაპონიის მხარე უჭირავს და ომის დროსაც დიდ დახმარებას გაუწევს თავის მოკავშირესაო.

„ჯაპან ტაიმს“-ი იუწყება: იაპონიის ელჩს ლონდონში ინგლისელებისაგან მრავალი თხოვნა მოსდის. ინგლისელები სწერენ ბარონ გაიაშის, გთხოვთ, თუ ომი მოხდა, იაპონიის ჯარში ჩაგვრიცხოთო. ამ მთხოვნელებში ბევრი მეზღვაური და ჯარის ოფიცერიც ურევია. ზოგიერთ თხოვნაში ეწერა, ოღონდ მიგვიღეთ და რაც ხარჯი დაგვჭირდება, სულ ჩვენ თავზე ვკისრულობთო. იაპონიის კანონის ძალით უცხოელების მიღება ჯარში აკრძალულია, ამიტომ ზოგიერთი სწერს ელჩს: ოღონდ მიგვიღეთ და იაპონიის ქვეშევრდომობასაც დიდის ხალისით მივიღებთო.

იაპონიის სამხედრო მოქმედება. „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: იაპონიის ჯარი და ფლოტი მეტად ფიცხად მოიქცევიან. იაპონიის ჯარი კორეიას დაიჭერს და ისე გამაგრდება, რომ რუსეთი თავის დღეში ველარ განდევნის იქიდან. იაპონელები მანჯურიის ნავთ-სადგურებში გადავლენ, პორტ-არტურს ალყას შემოარტყმენ და მედგარ, გასაშტერებელ ბრძოლას დაიწყებენო.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იწერება მანჯურიიდან: „იაპონელები წარსულ წელსვე შეუდგნენ კორეიის დაჭერას; მაშინვე დაიჭირეს ყოველი თადარიგი და გემებით მრავალი ოფიცერი და ჯარის კაცი მოიყვანეს.“

ჩინელების მოქმედება. „სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: „22 იანვარი. ამ დღეებში ქალაქის ფოსტით უსახელო წერილები გაუგზავნეს ყველა ჩინელ იჯარადარსა და ვაჭარსა და სთხოვეს, მამულის სიყვარული გამოიჩინეთ, რუსეთის სამხედრო გემებს ქვანახშირსა და საჭმელ-სასმელს ნუღარ მიჰყიდითო. ამბობენ, ეს წერილები ამას წინად დაარსებულმა რუსეთის წინააღმდეგმა საზოგადოებამ დაარიგაო.

რუსეთი ექიმებსა ჰგზავნის მანჯურიაში. „ნოვოე ვრემია“ იუწყება: ამ დღეებში პეტერბურგიდან ხარბინში 60-ზე მეტი ექიმი გაიგზავნებაო.

იაპონიის სამხედრო პლანი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტს ტოკიოში იაპონელ პოლკოვნიკ ოკასთან რუსეთ-იაპონიის ომზე უსაუბრნია. პოლკოვნიკს უთქვამს: „რუსეთ-იაპონიის ომი მეტად დიდხანს გაგრძელდება. მე მაინც ვფიქრობ, რომ ზღვაში უთუოდ იაპონია აჯობებს. თვითონ რუსებსაც არა სწამთ თავიანთ ფლოტის ძალა. ევროპიელები დარწმუნებულნი არიან, იაპონიას ხმელეთზე ბრძოლა მეტად გაუჭირდებაო. ვიცი, ხმელეთზე ბრძოლა რუსის ჯართან უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენც კარგი ძლიერი ჯარი გვყავს და გვწამს კიდეც ამ ჯარის ძალა. ზოგი ამტკიცებს, იაპონიას მხოლოდ 200 ათას ჯარის კაცის გამოყვანა შეუძლიაო. ეს მეტად შემცდარი, სულელური აზრია. ომი იაპონიასა და კორეიის ახლო ადგილებში მოხდება; ესეც დიდ უპირატესობას გვაძლევს. საზოგადოდ, ჩემის აზრით, აზიის ქვეყნებში აზიელი ჯარს ისე არ გაუჭირდება ომი, როგორც ევროპის ჯარს უჭირდება ხოლმე, მით უმეტეს რომ იაპონელებს ჯარი ევროპიულ წესზე ჰყავთ მოწყობილი.

იაპონიის მთავრობამ ბრძოლისათვის დაახლოვებით ასეთი პლანი შეადგინა. რამწამს ომს გამოაცხადებენ, ჩვენ იმწამსვე მედგარ იერიშს მივიტანთ რუსეთის ფლოტზე. იმ წამსვე ჩემულპოში (კორეიაში) ჯარს გავგზავნით, თან სამხედრო გემებს გავაყოლებთ. ვლადივოსტოკში მყოფ რუსის ესკადრას ძლიერ გაუჭირდება პორტ-არტურის ესკადრასთან შეერთება. კორეიასა და იაპონიას მეტად ვიწრო სრუტე ჰსაზღვრავს, ამ სრუტეს ადვილად შევკრავთ და რუსის ესკადრების შეერთებას ხელს შევუშლით. ყოველ შემთხვევაში ძლიერ ვეცდებით, რომ რუსეთის ფლოტი პირველშივე საბრძოლველად გამოვიწვიოთ. თუ ზღვაში გავიმარჯვეთ, მაშინ ხმელეთზე ბრძოლაც არ გაგვიჭირდება.

რაკი ჩემულპოში ჯარს გადავიყვანთ, მერ რაც შეიძლება მალე, ხარბინისაკენ გავილაშქრებთ. ხარბინი ჩემულპოდან 800 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია; ვინც ამ ქალაქს დაიჭერს, მანჯურიის ბატონიც ის იქნება. საბედნიეროდ, ჩემულპოდან ჩრდილოეთისაკენ (ხარბინისაკენ) მეტად კარგი გზებია; სამხრეთისაკენ კი საშინელი გზებია, ამიტომ ფუზანისკენ ჯარს არ გავგზავნით. ჩემის აზრით, პირველი დიდი ბრძოლა ზღვაში ჩემულპოს ახლო მოხდება. ბევრნი ჰფიქრობენ, რუსეთი თავის გემებს პორტ-არტურიდან არ გაიყვანსო, მაგრამ ჩემის აზრით, ადმირალი ალექსეევი პორტ-არტურიდან გამოვა და ჩვენს სატრანსპორტო გემებს გზას შეუკრავს. თუ რუსეთი ჩვენ ფლოტთან გულ-და-გულ ბრძოლას ვერ გაჰბედავს, მაშინ პორტ-არტურზე იერიშს მივიტანთ და ზარბაზნებს დავუშენთ. ხმელეთზეც კი ჩვენ უფრო კარგ ყოფაში ვიქნებით, ვიდრე რუსები. ჩვენი ჯარი ახლო-ახლო იდგება, თითქმის ერთს ადგილას იქნება თავ-მოყრილი, რუსეთისა კი გაფანტული იქნება პორტ-არტურსა, დალნისა, მუკდენსა, ნიუ-ჩუანსა, ვლადივოსტოკსა და სხვა ადგილებში და, როცა დასჭირდება, ერთად თავის მოყრა მეტად გაუძნელდება. რასაკვირველია, ჩვენი ჯარიც მრავალ გაჭირვებას გამოივლის სანამ ხარბინში მივა, მაგრამ ამ წვალების შემდეგ ჯილდოსაც დიდს მიიღებს: ხარბინში დიდძალი სამხედრო სურსათია, ცხენების საკვები, კონსერვები და სხვ. ხარბინს რაკი დავიჭერთ, მანჯურიის რკინის გზაც ჩვენ ხელთ იქნება. მაშინ რუსეთის ჯარს ყველგან დავამშევთ, პორტ-არტურისა და დალნის გზებსაც მთლად შევუკრავთ. რუსეთის მეციხოვნე ჯარებ ზღვიდან, თუ ხმელეთიდან ალყას შემოვარტყამთ. რაკი საქმეს გაუჭირვებთ, რუსი ჯარი ჯიხვ-სიმაგრეებიდან გამოვა და იაპონიის ჯარს ბრძოლის ველზე გულდაგულ შეებმება. ეს იქნება საბოლოო ბრძოლა. მაშინ დავინახავთ, ვინ გაიმარჯვებს, პატარ იაპონია, თუ უზარმაზარი რუსეთი“...

რუსეთის საერთაშორისო მდგომარეო „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს კორესპონ იწერება ნიციდან (სამხრეთ საფრანგეთიდან): „რუსის დიპლომატს ბ-ნ კ—ს ნიცაში ერთ აქაურს ჟურნალისტთან შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე ულაპარაკნია. ჩვენებუ დიპლომატის ნათქვამი ამნაირადაა გადმოცემული აქაურ ფრანგულ გაზ. „პტი ნისუა“-ში: „შორეულ-აღმოსავლეთის საქმემ ლამის ყვე ლა დიდ სახელმწიფოს ურთიერთობა და საერთაშორისო მდგომარეობა შესცვალო. აქამდე საფრანგეთ-რუსეთის კავშირი გერმანიას განძრევის ნებას არ აძლევდა. მაგრა

ფელეტონი

მივიწყებული მთიულეთი

საქართველოში აღარ მოიძებნება ისეთი კუთხე, რომელზედაც ჩვენის გაზეთების ყურადღება მიქცეული არ ყოფილიყოს. კორესპონდენციები თითქმის ყოველ დღე მოგვითხრობენ კახეთის წითელ ღვინოსა და მისს მომყვან მსმელებზე, ქართლის ტყემინდვრებსა და მათით გამოწვეულ დავაჩხუბებზე, იმერეთის სიმდიდრეზე და მისს ვითარება-რაოდენობაზე, გურია-სამეგრელოს წარმატება-გამოღვიძებასა და იქაურ მეაბრეშუმეთა ამხანაგობებზე, სვანურ-აფხაზურ ენების ფილოლოგიურ გამოკვლევებზე. მაგრამ მთიულეთი თითქოს საქართველოს არ ეკუთვნის, თითქოს მისი ნაბიჭვარიაო, იმაზედ ხმა-კრინტი არსაიდან არ ისმის, თუმცა მთიულეთს დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიაში.

ყველას მოეხსენება, რომ მთიელთა განმასხვავებელ ფორმას შრომა-წარმოებისას აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენს მეცხვარეობა და საქონლის ყოლა: თუშნი, ფშავ-ხევსურნი, მთიულ-გუდა-მაყრელნი და მოხევენი—ყველანი თავიანთ მთა-გორების შემწეობით აშენებენ ცხვარ-ძროხას და ამგვარად აცხოვრებენ თავის თავს, ისტუმრებენ სხვა-და-სხვა სახელმწიფო გადასახადს, იხდიან ბევრნაირ ხარჯს, მღვდლისა, თემისა და სოფლის მოხელეთა სასარგებლოდ.

რადგანაც ჩემის წერილის საგანს შეადგენს კერძოდ მთიულთა ცხოვრება, ამიტომ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მარტო მთიულეთს.

ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებაში ხშირად ტერმინებს „მთიული“ და „მთიელი“ ურევენ ერთმანეთში. პირველს ხმარობენ მეორის ადგილას და მეორეს პირველის მაგიერ. სიტყვა მთიელი (горецъ) ეწოდება მთის ყველა მცხოვრებს—თუშები იქნებიან იგინი თუ მოხევენი, ფშავლები თუ გუდამაყრელნი, ხევსურნი თუ სვანნი. სიტყვა მთიული (мтiулетинецъ) იხმარება სპეციალურად იმ კუთხის სახელად, რომელიც მდებარეობს, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, საქართველოს სამხედრო გზის აქეთ-იქით ნაპირებზე, ანანურის სადგურიდან გუდაურის სადგურის ცოტა ზევითამდე, მთიულეთის არაგვის ხეობაში. აი, სწორედ ამ კუთხეზე იუბნებს ჩემი წერილი მკითხველებთან და არა საზოგადოდ მთიელებზე.

ამ 10—15 წლის წინად მთიულეთში ვისაც თავისი ცხვარი ათასობით უთვლია და ძროხა ათეულებით, იგი 300—400 ცხვრის სინაბარა-და არის; ხარ-ძროხა 3—7 ეყოლება. ვისაც ათასზე ნაკლები ჰყოლია, იგი ან სულ უცხვარ-ძროხოთ დარჩენილა, ან 30—150 ცხვარს უვლის; ხარ ძროხაზე ხომ ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან თუ ვისმეს 2-3 ებადება, ისიც მალე იმას ჩაჰბარდება, ვისგანაც და რისგანაც გლეხი-კაცი დატაკდება. სარგებლობენ რასმე ამ შემცირებულ ცხვარ-ძროხით მთიულები თუ ზარალობენ? ამაზე პასუხს იძლევა პირველად ის გარემოება, რომ მთიულეთში მეცხვარეობა მცირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში რად შემცირდებოდა ცხვარ-ძროხას რომ სარგებლობა მოჰქონდეს. შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა იფიქროს, სიზარმაცით და დაუდევრობით დაუნებებიათ თავი მეცხვარეობისთვისაო, მაგრამ ძალიან მოსტყუვდება. განა მიწის დასამუშავებლად კი ნაკლები შრომა-ბეჯითობა მოუნდება მთიულს? ან ის გარემოება, რომ მთიულები 5—10 წლობით თავს ანებებენ თავიანთ მხარეს, დედ მამას, ცოლ-შვილს და მიდიან ჩობნებად თუშ-ფშაველებში, გუდა-მაყრელ მოხევეებში, ლეკ-თათრებში ცხვრის შესაძენად გვეუბნება იმათ სიზარმაცე-დაუდევრობა ცხვრის მოვლა-მოშენების საქმეში? სრულიადაც არა. ის უფრო რთულია, იგი ღრმად იმალება მთიულთა ცხოვრებაში, რასაც დავინახავთ შემდეგ. თუ ზარალი არა, სარგებლობა არ მოაქვს მეცხვარეობას მთიულებისთვის. ამას მივხვდებით შემდეგის ციფრებიდან: 100 ცხვრიდან მის პატრონს ერგება წელიწადში $2^1/_2$ ფუთი მატყლი, ოცამდის გასაყიდი თოხლჰედილა, ორ ფუთამდის ყველი. მატყლ იგინი ჰყიდიან 4 მანეთიდან 5 და ათ შაურში (მხოლოდ წარსულ ზაფხულში ავი 4 მანეთიდან ამ ფასამდის ფასნაურში იმის ახლო-მახლო, რადგან ჩარჩების სი რავლემ დაბადა კონკურენცია). საშუ ლო ფასი მატყლისა=4 მ. 75 კ. ჰედილ წარსულ ზამთარს 4 მანეთში წავიდა, თოხლ 2 მანეთში; აქედან საშუალო ფასი გასაყ დის საკლავისა იქნება 2 და ათი შაურ მაშასადამე 20 საკლავში მეცხვარე აიღ 50 მანეთს. თუ მხედველობაში ვიქონიებ რომ მთიულური ყველი შედარებით თუშ თან ღირსებით დაბლა სდგას და თუშ ყველი ფუთი ღირს 5-6 მან., მთიულ უნდა გაიყიდოს 4 მანეთში. ეს ასეც არ მაშ 100 ცხვრის საწველი ცხვარი ყველი მოგვცემს 8 მანეთს და სრულიად 100 ც რის შემოსავალი შეადგენს 70 მანეთამდ

ახლა განვიხილოთ რამდენი ეხარჯება ცხვარეს ცხვრის მოვლა-მოშენებაში. 20 ცხვარს აუცილებლად 1 ჩობანი უნდა, რ მელიც წელიწადში არა ნაკლებ 30 თოხლ სას თხოულობს გარჯაში, სმა-ჭამას და ცმა-დახურვას. საბალახეს 100 ცხვარ ზამთრობით გაიღებს გროზნა-მოზდოკისკე თუმანს, ჩვენში კი არა ნაკლებ 15 მანე სას (წინად ჩვენში 10 მანეთამდის იყო სა ლახო). ზაფხულობით თუ თავის მთებ დაბრუნა ცხვარი, რაც იშვიათი მოვლ

რაკი რუსეთმა თავისი უმთავრესი ძალა აღმოსავლეთ-აზიას მიაქცია, საფრანგეთ-რუსეთის კავშირსაც ძალა დაეკარგა. გერმანიისა და ავსტრიის დიპლომატია უკანასკნელ ექვსის წლის განმავლობაში მეტად მოხერხებულად იქცეოდა და რუსეთს სულ შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში ართობდა, ჩინეთის ჩრდილოეთი პროვინციები დაიჭერინა და იქ დიდი ჯარი გადააყვანინა. როცა იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა, ევროპის სახელმწიფოები ყველანი რუსეთს მიემხრნენ და იაპონიას მანჯურიაზე ხელი დააბანინეს. მერე როცა რუსეთმა პორტ-არტური დაიჭირა, გერმანული პრესა ტაშს უკრავდა და რუსეთის გაბედულს საქციელს ქება-დიდებას ასხამდა. რუსეთიც წაქეზდა და დიდ ოკეანის ნაპირები დაიჭირა, მაგრამ ამით იაპონია საუკუნოდ გადაიკიდა. მანჯურიის დაჭერით ამ ჩინელებსაც თავი შეაძულა. ამას გარდა, რუსეთმა შეერთებული შტატებიც გადაიმტერა. შტატებს დიდი კომერციული ინტერესები აქვთ მანჯურიაში და, რაღა თქმა უნდა, რუსეთის ბატონობა ამ პროვინციაში ამერიკელებს არ მოეწონებოდათ. რუსეთის დაუძინებელი მტერი ინგლისიც იაპონიასა და ამერიკას ემხრობა ყველაფერში... რუსეთმა დიდი ჯარი და ფლოტი ჩაიყვანა შორეულ-აღმოსავლეთში და ამით თავისი სამხედრო ძალა ევროპაში მეტად შეასუსტა, რადგან აღმოსავლეთ-აზიაში მყოფ ჯარს და ფლოტს, თუ ვინიცობაა ევროპაში ომი მოხდა, ვეღარ მიიშველიებს. ასე რომ რუსეთს, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერაფერი სარგებლობა მოუტანა მანჯურიისა და პორტ-არტურის დაჭერამ“.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 27 იანვარს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა პ. პობედიმოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ანგარიში თავის მგზავრობისა პეტერბურგში. პობედიმოვი **სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მიღვაწეთა** მესამე კრებას დაესწრო და მონაწილეობა მიიღო მესამე სექციის მუშაობაში. ამ სექციას განუხილავს ის საკითხები, რომელიც შეეხება რუსეთში სახელოსნო სასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესებას. სექციის სხდომები დაიწყო 1903 წლის 26 დეკემბერს და დასრულდა ამ წლის 4 იანვარს. ბ-ნ პობედიმოვი აღნიშნავს, რომ ბევრი წინადადება, რომელიც სექციამ მიიღო, უკვე განხორციელებულია ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში. სხვა გადაწყვეტილებათა შორის ბ-ნ პობედიმოვს საჭიროდ მიაჩნია ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში შემდეგის განხორციელება: 1) განვითარება სამჭედლო საქმისა; 2) ხელობის სწავლების გასაცოცხლებლად სასწავლებლის დირექტორი და ხელოსნები უნდა იგზავნებოდნენ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებებში მუშაობის გასაცნობად; 3) გამოცდილ ხელოსან-მასწავლებელთა მოსაზიდავად მასწავლებელთ სამსახური სახელმწიფო სამსახურად უნდა ეთვლებოდეთ და უფასოდ სადგომები ეთმობოდეთ სასწავლებელთან; 4) სახელოსნო სასწავლებლებთან გაიმართოს მოსწავლეთავის საზოგადო საცხოვრებელი; 5) მოეწყოს სისტემატიური ექსკურსიები; 6) მოეწყოს სისტემატიურად კითხვები მოსწავლეთათვის და აგრეთვე დრო-გამოშვებით სალიტერატურო სამუსიკო საღამოები. დასასრულ, სახელოსნო დირექტორი აღნიშნავს, სექციის კრებაზედ ბევრი საყურადღებო მოხსენება და საკითხი იქმნა აღძრული, მაგრამ, სამწუხაროდ, სექციის კრება უდროოდ შესწყდა და 4 იანვარს კრება დაიხურა, რის გამო სექციამ ვეღარ მოასწრო მთელის პროგრამის განხილვა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის მოურავს, რომ საინტენდანტო გამგეობა შეუდგა განხილვას ტფილისის **თვითმმართველობის შუამდგომლობისას**. ამ შუამდგომლობით ქალაქი თხოულობს დაუბრუნდეს ის 16,573 მან., რომელიც გადაიხადა სამსახურს გარეშე მყოფ ჯარის-კაცთა სადგომების დასაქირავებლად. ეხლა საინტენდანტო თხოულობს ცნობებს, როდის და რომელ ჯარის-კაცთა სახლობებისთვის იქმნა სადგომები დაქირავებულიო.

◆ ტფილისის გუბერნატორისათვის **მეეტლეებს სიჩივარი გადაუციათ** ქალაქის გამგეობაზე. მეეტლეები სწერენ, დიდი ზარალი მოგვდის ეხლანდელ ნიხრით და გთხოვთ, განკარგულება მოახდინოთ, რომ გამგეობამ ნიხრს მოუმატოსო. გუშინ გუბერნატორმა ეს თხოვნა გადასცა ქალაქის მოურავს და აცნობა, კარგი იქნება, გაყოფილ იქმნან მეეტლენი ეტლებისა და ცხენების სიკარგის მიხედვით რამდენსამე ნაწილად და თითოეულ ნაწილისათვის განსაკუთრებული ნიხრი იქნას შემოღებულიო.

◆ როგორც ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს უფროსის ცნობებიდანა სჩანს, 25 იანვრისათვის **საგუბერნიო საპატიმროში** იყო 457 პატიმარი, ხოლო მეტეხის საპყრობილეში 540, სულ 997 პატიმარი. აქედან პოლიტიკური დამნაშავე 118 სულია (4 დედაკაცი).

◆ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე. ადმინისტრაცია თხოულობდა ფულს იმ სოფლის საზოგადოებათა დასახმარებლად, რომელნიც კერძო **სასოფლო სამკურნალოებს** აარსებენ.

◆ **საქართველოს ეგზარხოსს** ერევნიდან ხვალ, 29 იანვარს, მოელიან.

◆ **თელავი.** 24 იანვარს დაასაფლავეს სოფ. ყარაჯალის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ახალგაზრდა ქალი პეტრიაშვილი, რომელიც ორი დღის წინად უეცრად გარდაიცვალა. ჯანსაღ ქალის ამ უცნაურმა სიკვდილმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სიკვდილის მიზეზს სხვა-და-სხვას ასახელებენ. სასურველია, ეს საქმე გამოირკვეს.

◆ დუშეთის მაზრის **მომრიგებელი შუამავალი** თ-დი ვაჩნაძე გადაყვანილ იქმნა სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, ხოლო იმის ადგილას დაინიშნა უფროსი მიწისმზომელი ბ-ნი პაიჭაძე.

◆ რედაქციამ მიიღო: 1) „უოვ. სამღ. რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ედვარდ დე-როპი და მისი მოგზაურობა საქართველოში.“ შედგენილი და გამოცემული მესხის კონს. გვარამაძის მიერ; 2) „მგზავრი ამხანაგი“, შედ. მესხის კონს. გვარამაძის მიერ.

◆ ტფილისის პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გაჰგზავნოს ტეხნიკოსი „სევერნი ნომრებისა“ და საპიორნის ქუჩაზე გაბაშვილის სახლის შესამოწმებლად.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობას დაუარსებია „ქალაქის საზოგადოება წვრილის საურთიერთო კრედიტისა“. გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა პეტერბურგის გამგეობის წევრს ა. ნ. ბუზოვს, რომლის ინიციატივითაც დაარსებულ იქმნა ეს საზოგადოება, გამოუგზავნოს ერთი ცალი საზოგადოების წესდებისა.

◆ 25 იანვარს, მადათოვის ქუჩაზე, კერესელიძის დუქანში, ჩხუბი მოსვლიათ სოფელ წყნეთის მცხოვრებს **ილიკო ოკოტაშვილსა** და რაჭის მცხოვრებს ზაქარია გოგებერაშვილს. ამ უკანასკნელს ოკოტაშვილისათვის რევოლვერი უსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია. გოგიბერაშვილი დააპატიმრეს.

შემოწირულება

მოსწავლე-ქალის ს. გ—შვილის სასარგებლოდ კიდევ მოგვივიდა: 8 მან. 50 კაპ., რომელიც ნაცნობთა შორის შეუკრებია ბ-ნ ივ. გოგოლიშვილს. შემოუწირავთ: ფ. ა. ყიფიანს—1 მან. 50 კ., ი. ზ. გოგოლიშვილს, №№-ს, ი. ი. კერესელიძეს და ბ-ნ ტ. მეტრეველს—თითო მანეთი; ბ. დ. აბულაძეს, ი. დ. გიგინაშვილს, ბ-ნ ფ. ნარვაის, ა. მ. ბუტხუზს, ი. ს. გეგუჩაძეს და ბ-ნ დ. ბელოვს—ათ-ათი შაური.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ წარსულის წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობას 300 საჩივარი აღუძრავს სასამართლოებში. ამ საჩივრების სამი მეოთხედი მაინც შეეხება ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას. სასამართლომ ბრალდებულთა უმეტესი ნაწილი დამნაშავედ იცნო და დააჯარიმა, მაგრამ ჯარიმა იმდენად მცირეა—საზოგადოთ 1—3 მანეთი—რომ ამით არამც თუ ისპობა ბოროტ-მოქმედება, თითქმის კიდეც ვრცელდება: ათში, იქნება ერთხელ დაიჭირონ დამნაშავე და ერთის მანეთით დააჯარიმონ, ცხრაჯერ კი თავისუფლად არღვევს სავალდებულო დადგენილებას. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ბეითალს და წინადადებაც მიუცია ქალაქისა საბჭოსათვის, სავალდებულო დადგენილებაში შეიტანოს ერთი დამატებითი მუხლი შესახებ იმისა, რომ ქურდულად—ქალაქის საყასბოს გარედ—დაკლული საქონელი წაერთვას პატრონს და, თუ ავადმყოფი არ აღმოჩნდება, მიეცეს საქველმოქმედო დაწესებულებათ.

◆ 5 თებერვალს, ქუთაისის საკრებულოს დარბაზში გამართულ იქნება საცეკვაო საღამო ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის სასარგებლოდ. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გავაცნო მკითხველთ იმ სკოლის მდგომარეობა, რომელიც არა ერთსა და ორს ღარიბ ბავშს უფასოდ ზრდის. სასწავლებელი დაარსებულია 1866 წელს. სასწავლებელში ამ ჟამად 219 მოწაფეა; აქედან: 201 ქართველია, 15 რუსი, 2 სომეხი და 1 ებრაელი. წოდების მიხედვით მოწაფეები აგე გვარად განიყოფებიან: 50 მოწაფეა აზნაური, 4—სასულიერო წოდებისა, 165 გლეხი ქალი. სასწავლებელში 12 მასწავლებელია. სწავლის კურსი 6 წლისა, რომელიც უდრის დაახლოვებით ორ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის კურსს. სასწავლებელში 143 მოწაფე ქალი სრულიად უფასოდ სწავლობს, 76 კი (მოსამზადებელს კლასში) იხდის წლიურად 12 მანეთს. სკოლას აქვს მშვენიერი საკუთარი შენობა მშვენიერისავე ბაღით, რომელსაც უვლიან მოწაფე ქალები. სკოლაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ხელ-საქმესა და მეოჯახეობას. 1889 წელს კავკასიის გამოფენაზე სკოლას მიუღია ხელ-საქმისათვის პირველი ხარისხის ჯილდო; 1091 წელს საიუბილეო გამოფენაზე მიუსჯიათ მისთვის პირველი ხარისხისავე ჯილდო—დიდი ოქროს მედალი. სკოლის წლიური შემოსავალ-გასავალი უდრის დაახლოვებით 5000 მანეთს; აქედან: საერო განათლების სამინისტრო აძლევს სუბსიდიას—1500 მანეთს; ქალაქის გამგეობა—1400 მანეთს; ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ნაანდერძევ ხელუხლებელი თანხის (2000 მან.) სარგებელი—76 მან., სათადარიგო თანხის (15700 მან.) სარგებელი—596 მან., მოწაფეთა სწავლის ფული—912 მან. და სხ. 500 მანეთი სკოლას შემოდის კერძო შემოწირულებით, საღამოების გამართვითა და მოწაფეების ხელსაქმის გაყიდვიდან.

◆ წარსულის წლის განმავლობაში ქალაქის სანიტარულ ზედამხედველობის მოქმედება ამგვარი ყოფილა: დაუთვალიერებიათ 2354 ეზო და სადგომი; 2154 სავაჭრო და 14 ქარხანა; სანიტარულ წესის დარღვევისათვის დაურიგებიათ 811 უწყება, შეუდგენიათ 206 ოქმი; აუშენებიათ 242 ახალი ფეხის ადგილი და 61 ნარეცხის ორმო; შეუკეთებიათ ორივე 230; გაუკეთებიათ 379 სანაგვე ყუთი; სავაჭრო ადგილების დათვალიერების დროს გადაუყრიათ 29 ფუთი ხილი, 508 ფუთი მწვანილი, 225 ფუთი თევზი, 158 ფუთი ხორცი, 70 ცალი ნანადირევი, გადაუღვრიათ 19 ვედრო რძე. დეზინფექცია მოუხდენიათ 33 სადგომში გადამდებ ავათმყოფობის შემდეგ; სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში გაუსინჯავთ 64 ავადმყოფი.

—

◆ რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ქუთაისის ხელის მომწერლებს თავიანთი სრული ადრესი (ქუჩა, სახლის პატრონის გვარი, №№) 31 იანვრამდე გამოაცხადონ ბ-ნ ვას. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში.

შინ და გარედ

62.

ამ დღეებში, ოფიციალურ გაზეთ „პოლტავ. გუბ. ვედომ.“-ში დაბეჭდილი იყო პოლტავის გუბერნატორის თავ. ურუსოვის საყურადღებო განცხადება.

„თითქმის ყოველდღე, სწერს გუბერნატორი, მომდის მრავალი უსახელო წერილები. იძულებული ვარ საქვეყნოდ გამოვაცხადო, რომ ასეთ დაბეზღების წერილებს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ და სრულიად უყურადღებოდ ვტოვებ. წერილების ავტორები აბეზღებენ სამსახურისა და კერძო პირთ, სწამებენ მათ ამა თუ იმ დანაშაულობას. ასეთი უსახელო წერილები სახელს უტეხენ მხოლოდ მათ შემდგენელთ და არა იმათ, ვისაც აბეზღებენ; მათში მოთხრობილი ამბები არ შემიძლია დავიჯერო, რადგან ასეთი დაბეზღება საზოგადოთ არაა სანდობი“.

საკვირველი შემთხვევა! წავიკითხე თუ არა გაზეთში ეს განცხადება, რედაქციაში შემოვიდა ჩემი ნაცნობი გურული ახალგაზდა, რომელმაც, ჩვეულებრივ მოსალმების შემდეგ, ასეთის სიტყვებით მომმართა:

—ეს არის გურიიდან დავბრუნდი. ვერ წარმოიდგენ, რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გურიაში მოგზაურობამ. ყველგან, პატიოსან და შეგნებულ გურულებისაგან, ერთი და იგივე ჩივილი მესმოდა: გაირყვნა ხალხი, „დანოსობა“ გახშირდაო. მეზობელი მეზობელს აბეზღებს და ამრიგად ჯავრს იყრის, თუ რამ უსიამოვნება ჰქონდა მასთან. ყოველ წოდებასა და წრეში აღმოჩნდა მრავალი „მედანოსე“, რომელთაც ხელობად გადაქცევიათ უსახელო დაბეზღება და ჯაშუშობა. თუ ასე გაგრძელდა კიდევ, გურიაში პატიოსან კაცს ცხოვრება აღარ შეეძლება!...

ძალიან გამაკვირვა ნაცნობის ასეთმა ცნობამ. ცოტა არ იყოს, ეჭვი დამებადა: განა შესაძლებელია, გავიფიქრე გულში, რომ ამაყმა, თავმომწონე, პირდაპირმა და გონიერმა გურულმა ხალხმა მედანოსესა და ჯაშუშის ხელობა იკადროს მეთქი?! ნამდვილ ამბის გასაგებად მივმართე გურიის ცხოვრების ერთ დარბაისელ მეთვალყურეს და, სამწუხაროდ, იმანაც დამამოწმა—მართალიაო. მეთვალყურემ სთქვა:

—ცოტა არ იყოს, თქვენს ნაცნობს გადაუჭარბებია. „ხალხი გაირყვნა“ და ამისთანები მეტია, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ ხსენებული საძაგელი სენი ბევრს მოედო გურიაში. კარგი იქნება, გაზეთში აღნიშნოთ ეს ამბავი: გურული თავმომწონეა და შერცხვება, იქნება გონს მოვიდესო...

ვასრულებ მეთვალყურის სურვილსა და ვამხელ ამ მეტად სამწუხარო მოვლენას.

ადგილების შევიწროების გამო, ასცდება ამ გადასახადებს, თუ არა და უფრო ცუდია. თუ ამას დაუმატებთ ორ-ფეხა და ოთხ-ფეხა ნადირისაგან ცხვრის ზარალს, ცხადად დავინახავთ, რომ მეცხვარეს 100 ცხვრიდან ზარალი მოგებას აღემატება, მხოლოდ იგი იმით ნუგეშობს, რომ 100 ცხვრიდან 40—50 ბატკანი მეტი ეძლევა. რომ სწავლა-განათლება და გამოცდილება ჰქონდეს მთიულს, მაშინ ჩარხი წაღმა დაუტრიალდება, მაშინ შემოსავალს იგი ერთი-ორად და სამად გაადიდებდა და წაქეზებული ცხვარსაც გაამრავლებდა, რადგან იგი ხუთადა და ათ შაურად კი არ მისცემდა თავის მატყლს, თუმნადა და 12 მანეთად, ან არა და შეადგენდა ამხანაგობებს თავის მოძმეებთაგან, როგორც თუშებმა მოახერხეს და მიჰყიდდნენ უფრო მეტ ფასად პირდაპირ მატყლის დამმუშავებელ ალებს აგრეთვე გააუმჯობესებდნენ ყველს ღუკეულს ფასად გაასაღებდნენ მას ღ საკლავს. მაშინ ცხვრის ყოლა-გამრავლებას მთიულეთში ექნებოდა სარგებლობა, ან არა და მთიულეთში რომ ისევ კარ-ჩაკეტილი წარმოება სუფევდეს იქაც, რომ ახალი ცხოვრებას ფეხი არ შეედგა, ცხვრის ყოლას კიდევ ჰქონდა აზრი, რადგან მას ცხვარი მარტო იმიტომ უნდოდა, რომ მატყლიც შინ მოეხმარებინა, როგორც ზოგზოგი ეხლა შვრება, ყველიც და საკლავიც. მაშინ ყოველ ცხვრის გადასახადს საკლავით გაისტუმრებდა, რომ მათი ოჯახი არ დარღვეულიყო. ერთი კერა რომ ძმათა რიცხვისა და კვალად არ ქცეულიყო რამდენადმე კიდევ ახალის ცხოვრების პირობების წყალობით, მაშინ ცხვრის პატრონს აღარ მოუნდებოდა ჩობნების შენახვა—ცხვარიც მალე გამრავლდებოდა. ხალხის სიმრავლით საძოვარი ადგილები რომ არ შემცირებულიყო როგორც მთიულებში, ისე ბარ-ადგილებში, სადაც ცხვარი უეჭველად სტუმრად მიდის ზამთარ-ზაფხულ, მაშინ საბალახოს გადახდა ან სულ არ მოუნდებოდათ ან ძალიან მცირედ, სახელმწიფო და სხვა გადასახადები ფულით რომ არ შეცვლილიყო, ერთი სიტყვით, ცხოვრება რომ არ გამოცვლილიყო, მთიულები თავიანთ ცხვარს ისევ 1000-ობით დასთვლიდნენ და ძროხას ათეულობით. მაგრამ ახალმა პირობებმა ცხოვრებისამ ახალ-გარემოებებში ჩააყენა ქედ-მოუხრელი, გულით მაგარი მთიული. იმან იგრძნო თავის ქედზე, რომელიც ბატონ-ყმობის დროსაც კი თავისუფალი იყო ყმის მძიმე უღლისაგან, უმძიმესი უღელი ეკონომიურ გადაგვარებისა და მოახარა თავი მის წინაშე მაშ რა საშუალებები დარჩა მთიულს არსებობისთვის ბრძოლაში? ხვნათესვა-ვაჭრობა მრეწველობა თუ სამუშაოდ გარედ გასვლა? მას დარჩენია მარტო პირველი და უკანასკნელი.

დ. პავლიაშვილი

(დასასრული იქნება)

სირცხვილი იმას, ვისაც ნამუსი დაუკარგავს, სარგებლობს დროით და თავის მეზობლის, მოძმის დასაღუპავად არაფერს ზოგავს; სირცხვილი იმას, ვინც თავს იმცირებს, საზიზღარ და სამარცხვინო იარაღით იბრძვის!..

კიდევ კარგი, რომ პოლტავის გუბერნიაში მთავრობის წარმომადგენელს ღირსეულად დაუფასებია „დანოსის“ მნიშვნელობა და ყურადღებას არ აქცევს მაბეზღართ. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიდგინეთ, რამდენ ვნების მოტანა შეუძლიათ უსირცხვილო „მედანოსე-ვალანტიორებს“?!.

კიდევ არაფერი, როდესაც „მედანოსე“ შეუგნებელ და უვიც წრესა ან წოდებას ეკუთვნის. ამ შემთხვევაში გესმის მაინც, რომ კაცი თავის უვიცობისა და სიბნელის მსხვერპლია. მაგრამ, როგორ უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ საზიზღარ ხელობას, როგორც დანამდვილებით ამბობენ, უფრო კულტურული წრე-წოდებაც მისდევს?! ეს ხომ ნამდვილი გათახსირებაა, სულით დაცემა!..

ასეთია ბნელის დროის მავნე და გამრყვნელი გავლენა. მოვა დრო და სიბნელე განიფანტება, მაგრამ მათ დანაშაულს ვერავინ დაივიწყებს, ვისაც ესმის რა საზიზღრობას ჩადის და მაინც თავისას არ იშლის...

გან

P. S. მოსწავლე-ქალის სოფ. გ—შვილის სასარგებლოდ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა დღემდის სულ 39 მან. და 75 კაპ. ეს ფული საკმარისია სწავლის გადასახადის დასაფარავად. სოფ. გ—შვილის მაგიერ დიდ მადლობას ვუთვლი ყველა იმათ, ვინც ყურადღება მიაქცია ჩემს მოწოდებას და დახმარება არ დაიშურა საბრალო მოწაფისათვის. დღეიდან თუ კიდევ შემოვიდა შემოწირულება, სხვა გაჭირვებულ მოსწავლეს გადავცემთ, რასაც იმწამსვე ვაცნობებთ შემომწირველთ.

გ.

ტფილისის ქალაქის საბჭო

მუხრანიანთ ქუჩიდან მტკვარზე გასავალი ბორანი ვინმე ბუდაღოვსა აქვს ქალაქისგან იჯარით აღებული. შარშან ოქტომბერში გამგეობამ საბჭოს მოახსენა, რომ ბუდაღოვი იჯარის ფულს დროზე არ იძლევა და ნება მოგვეცით ბორანის იჯარით გასაცემად ვაჭრობა დავნიშნოთო. ვაჭრობა იყო, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ვინმე ეგანოვმა შეაძლია ქალაქს იჯარის ფული—8550 მანეთი წელიწადში. საბჭომ ეს ვაჭრობა არ დაამტკიცა და შეიწყნარა ძველ იჯარადარის ბუდაღოვის სათხოვარი, რომელმაც ასე გამოუცხადა ქალაქს: ბორანი ისევ მე მომეცით იჯარით წლიურად 11 ათას მანეთში; რაც ჩემზე ვალად დარჩენილია (3500 მანეთი) ძველი წლების იჯარის ფული შემოუტანელი, იმასაც გავანაღდებ—ყოველ დღე შემოვიტან არა ნაკლებ 15 მანეთისაო.

საბჭომ ეს სათხოვარი შეიწყნარა და თანაც დაავალა გამგეობას, ბორანზე მისავალი ადგილები შეეკეთებინა და ისე ჩაებარებინა ბუდაღოვისათვის, რომელიც სულ იმას სჩიოდა, ამ მისავალ ქუჩების უვარგისობამ დიდი ზარალი მომცა, რადგან, საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით, დიდ ხანს დაკეტილი მქონდა ბორანი და მუშაობას მოკლებული ვიყავიო. თანახმად საბჭოს ამ გვარის დადგენილებისა, გამგეობას ბორანზე მისავალი ქუჩები შეუკეთებია და ბუდაღოვი მიუწვევია პირობის შესაკრავად, მაგრამ ბუდაღოვი დღემდე ყურსაც არ იბერტყავს—გამგეობას ახლოსაც არ ეკარებოდა. არა თუ ახალის პირობით არ ეკვრება, პირ-იქით, ძველ ვალსაც არ იხდის თურმე: შარშან რამდენიმე დღე უძლევია ხუთმეტ-ხუთმეტი მანეთი ამ ვალის გასანაღდებლად, მაგრამ მალე ესეც მოუსპია ქალაქისათვის და ახალი სათხოვარი შემოუტანია, რომელშიაც დიდის წილადობილით მოუთხრობს საბჭოს, რომ იმდენ იჯარის მიცემას, რამდენსაც მე ვაძლევ ქალაქს, ვერავინ ვერ ჰბედავსო; ბორანმა დიდი ზარალი მომცა და ისეთ მდგომარეობაში ნუ ჩამაგდებთ, ზარალი ვნახოო და სხვ. ბოლოს სთხოვს ქალაქს: ჩემზე დარჩენილი ვალი იჯარის ფულს შეაკეცეთ და სამის წლის განმავლობაში სულ შევავსებო.

თანახმად გამგეობის მოხსენებისა, საბჭომ დაადგინა: ბუდაღოვს ბორანის იჯარა წაერთვას და ახალი ვაჭრობა დაინიშნოს იჯარის გასაცემად; ბუდაღოვის გირაო ფული ქალაქის საკუთრებად გადაირიცხოს და თვითონ ბორანიც ქალაქის საკუთრებად ჩაირიცხოს; (ბორანი გამართულია ბუდაღოვის ხარჯით, მაგრამ ესეც ქალაქს ჰქონდა გირაოდ); ეხლავე საჩივარი დაიწყოს ქალაქმა და რაც ზარალი ჰნახა ამ საქმეში, ბუდაღოვის ქონებიდან შეივსოს.

გარდაცვალებულის სტუდენტის გ. მ. თამამშევის სახელობაზე მშობლებმა სტიპენდია დანიშნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ღარიბ ტფილისელის აღსაზრდელად. ამ სტიპენდიის დანიშვნის წეს-რიგი საბჭომ შეიმუშავა და დასამტკიცებლად გაუგზავნა მთავრობას. ახლა ტფილისის გუბერნატორს უცნობებია ქალაქისათვის, რომ საბჭოს მიერ შემუშავებულ წეს-რიგს კიდევ ერთი მუხლი უნდა მიუმატოთო: თუ ქალაქი 15 ოქტომბრამდე არ დაასახელებს, ვის დაენიშნოს გ. მ. თამამშევის სახელობაზე დაწესებული სტიპენ[illegible] ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი თვითონ ამოარჩ[illegible] და თავისის შეხედულებით დაუნიშნავს ამ სტიპენდიას უნივერსიტეტში ერთ-ერთს ტფილისელ მოსწავლეთაგანსაო. ასეთი დამატება მოუთხოვია თვით რექტორს უნივერსიტეტისას, როცა აქედან შეჰკითხებიან ამის შესახებ.

საბჭომ დაადგინა: ქალაქი ვალდებული იქმნება 15 ოქტომბრამდე წარადგინოს სტიპენდიატი გ. მ. თამამშევის სახელობისა და, თუ ამ ვადას გადააცილა, მერე უნივერსიტეტმა თვითონ დაჰნიშნოს სტიპენდიატიო.

დანარჩენი დრო უქმე დღეებში ვაჭრობის შემცირების შესახებ სავალდებულო დადგენილებათა განხილვას მოანდომა საბჭომ, და ვერც ერთის მუხლის დამტკიცება ვერ მოასწრო, რადგან ისეთ საგნებს შეეხენ ხმოსნები, რომლის განხილვა და დაწვრილებით განსაზღვრა შორს წაიყვანდა. თითქმის შუა ღამე იყო საბჭომ ასე დაადგინა: რადგან ძნელია წვრილმანების საბჭოში განსაზღვრა, შემდეგ კრებისათვის გამგეობამ და იმ კომისიამ, რომელმაც ეს დადგენილებანი შეიმუშავა, დაწვრილებით აღნუსხოს რომელი დარგის ვაჭრობაა საჭირო უქმე დღეებში და რამდენის ხნითაო.

გამგეობის წევრის არჩევანი შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ვესტნიკ იუგა“-ს სწერენ ვერხნედნეპროვსკიდან: „მას შემდეგ, რაც დარაჯთა რაზმები შემოიღეს, თანდათან მატულობს მოჩივართა რიცხვი—დარაჯები თავის უფლებას აჭარბებენო. ამას წინად ორი გლეხი რკინის გზის სადგურ „სუხაჩოვკა“-სკენ მიდიოდნენ და ლაპარაკობდნენ. გზაში ერთი დარაჯი წამოეწიათ და უბრძანათ, ხმა მაღლა ნუ ლაპარაკობთო. გლეხებმა ამ განკარგულებას ყურადღება არ მიაქციეს. დარაჯმა ერთი გლეხი დაიჭირა და წაიყვანა სადგურზე, სადაც ძალიან სცემა და ხმლით თავში ძლიერ დასჭრა. მეორე გლეხი გაიქცა. დამნაშავე-დარაჯი მიიმალა.

◆ 16 იანვარს პეტერბურგში შუადღისას დრაგუნთა ტვერის მე-43 პოლკის შტაბსროტმისტრმა დობროდეევმა ვინმე ტიხონოვი მოჰკლა. ამის შესახებ „რუსკი ინვალიდ“-ში სწერია; „დობროდეევი ქუჩაში მიდიოდა და შეამჩნია, რომ ვიღაც კარგად ჩაცმული კაცი უახლოვდებოდა. უცნობი აფიცერთან ისე ახლო მივიდა, მხარით შეეხო და უთხრა: „რადგან ინტელიგენტი ვარ, ამიტომ ვთხოულობ, შემწეობა აღმომიჩინოთ“-ო. დობროდეევმა მიუგო: „გთხოვთ, მაგისთანა თხოვნით ნუ მომმართავთ, გამეცალეთ!“. უცნობი ჩამორჩა და მიაძახა: „ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ პატიოსანი კაცი გელაპარაკებოდათ, თქვენ კი უსინიდისო ყოფილხართ“-ო. დობროდეევმა ჯერ ხმალზე ხელი გაიკრა, მაგრამ მოაგონდა, იქნება მთვრალიაო და თავის გზას გაუდგა, მაგრამ უცნობი გამოუდგა და მიაძახა: „თუ ეგრეა, მე გაჩვენებთ!“ დობროდეევმა ხმალი მოიმზადა და უთხრა: „შეჩერდით, თორემ დაგარტყამთ“-ო. როცა უცნობი არ შედგა და მიუახლოვდა, დობროდეევმა ხმალი მოუქნია და კისერში დაარტყა. უცნობი კოლპინის მოქალაქე ტიხონოვი აღმოჩნდა. ჭრილობა მძიმე აღმოაჩნდი და ტიხონოვი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამ ამბის მოწმედ მხოლოდ ერთი კაცი მოხელე მოლოზოვია.

◆ პეტერბურგის სამხედრო საკრებულო თავის ანგარიშში ამბობს, სატახტო ქალაქის ახალგაზრდა კაცები ტანით ძალიან დაწვრილმანდნენო. მოზრდილი და ღონიერი კაცები ეხლა იშვიათი მოვლენაა. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ახალგაზრდების ცხოვრება არა ჰიგიენურ მდგომარეობაში ვითარდება: იბადებიან და ცხოვრობენ ნოტიო და ჰუჭყიან სარდაფში, მოწამლულ ჰაერით იკვებებიან და კარგი ჰაერი არას დროს არ უნახავთო.

თეატრი

ნიჭიერ ბელეტრისტსა და დრამატურგს დავით კლდიაშვილს დაუწერია ერთ მოქმედებიანი კომედია „დარისპანის გასაჭირი“. შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა ეს პიესა და უნდა ვთქვათ, რომ იგი მშვენიერი ნაწარმოებია. შინაარსი პიესისა ღარიბ იმერელ აზნაურთა ცხოვრებიდან არის აღებული. როგორც გავიგეთ, ამ პიესას ბ-ნ ბალანჩივაძის მონაწილეობით წარმოადგენენ ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის ბენეფისში.

ქართულმა დრამატიულმა დასმა თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“ ოთხჯერ წარმოადგინა ქუთაისსა და ბათუმში. ამ ოთხ წარმოდგენიდან დარჩენილა 2500 მან.

სომხური წარმოდგენა. 26 იანვარს სომხურმა დრამატიულმა დასმა საარტისტო საზოგადოების თეატრში იდღესასწაულა ბ-ნ მ. ადაიანის სომხურ სცენაზე მოღვაწეობის 25 წლის შესრულება. სწორედ 25 წლის წინად ადაიანი პირველად გამოვიდა სცენაზე ტფილისში. შესრულდა ამ პირველ გამოსვლის დროს ლაერტის როლი „ჰამლეტში“. თვით ჰამლეტს თამაშობდა დაუვიწყარი ადამიანი. მას შემდეგ ბ-ნი ადაიანი 25 წელიწადი ემსახურება სომხურ სცენას და ასრულებს მეორე ხარისხოვან როლებს. 26 იანვარს დამსახურებულ არტისტის პატივსაცემად ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. დასდეს ისევ „ჰამლეტი“ და ადაიანი თამაშობდა ისევ ლაერტის როლს. „ჰამლეტის“ როლი კარგად ჩაატარა ქ-ნმა სირაინუშმა. მობენეფისეს ტაშის კვრით მიეგებნენ, ჯერ მიულოცეს ამხანაგებმა, შემდეგ კომიტეტმა, ავლაბრის დასმა, „ტარაზ“-ის რედაქციამ და სხვა. წარმოსთქვეს სიტყვები და მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. ბ-ნმა ადაიანმა აკანკალებულის ხმით ყველას მადლობა გადაუხადა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 იანვარი

ნოვოჩერკასკი. ოლქის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ისევ დენისოვი აირჩიეს.

ლონდონი. მეფემ ლორდ რობერტსი და ადმირალი ბერესფორი აუდიენციაზე მიიღო.

ნიუ-იორკი. ბალტიმორში საშინელი ცეცხლი გაჩნდა; ქალაქის მთელი სამრეწველო ნაწილი განადგურებულია; ზარალი 80 მილიონ მანეთს აღემატება. ცეცხლი ჯერ ვერ ჩაუქრიათ.

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული სმოლნის ინსტიტუტში ბრძანდებოდა.

27 იანვარი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესად მოახსენა დეპეშით მიღებული დადგენილება იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრებისა. ამ დეპეშაში გამოთქმულია კრების გრძნობანი იაპონიასთან სადიპლომატო ურთიერთობის შეწყვეტის გამო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: „წრფელის გულით ვმადლობ იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრებას მხურვალე გრძნობის გამოცხადებისათვის. დარწმუნებული ვარ, ამ გვარისავე გრძნობით გამსჭვალულია ყოველი ჭეშმარიტი რუსი“.—იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრების დადგენილება შემდეგი შინაარსისაა: „იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრებამ, შეიტყო რა პეტერბურგიდან იაპონიის ელჩის გაწვევა, სთხოვა მინისტრს, უქვეშევრდომილესად მოახსენოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას გრძნობანი უდიდესის აღტაცებისა ხელმწიფის მშვიდობის მოყვარეობის წინაშე და გრძნობანი უსაზღვრო უქვეშევრდომილესის სიყვარულისა და ერთგულებისა. თუ უფალსა ღმერთსა ჩვენსა სურს ხელახლად გამოსცადოს გაჭირვებაში ჩვენი სამშობლო, მზად ვართ მსხვერპლად შევწიროთ ჩვენი სისხლი და მთელი ჩვენი ქონება ძვირფას სამშობლოს საკეთილდღეოდ და უსაყვარლეს ხელმწიფის სადიდებლად“.—რადგან იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზე ბევრის საქონლის გადაზიდვა შეუძლებელია, გზათა მინისტრის განკარგულებით, დროებით, ახალ განკარგულებამდე, სადგურებს ირკუტსკსა და მანჯურიის შორის აღარ ივლის ორი სასწრაფო საბუფეტო მატარებელი.

სოფია. იმ ამბავმა, რომ შესაძლებელია რუსეთსა და იაპონიას შორის ომი დაიწყოსო, აქ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია რუსეთის მიმართ. გაზეთები ჰბეჭდავენ წერილებს, რომლებითაც ძმურს თანაგრძნობას უცხადებენ ბულგარიის განმათავისუფლებელ დიდებულ მხედრობას. იმედსა და სურვილს აცხადებენ, რომ რუსეთმა გაიმარჯვოს.—სამოქალაქო აგენტებმა სალონიკში ენერგიულად განუცხადეს ხილმი-ფაშას, რომ მცხოვრებნი სჩივიან, ზოგიერთი მოხელეები ბოროტად მოქმედებენო; აგენტები თხოულობენ დაწესდეს სპეციალური ბიუჯეტი სამივე ვილაეტისათვის, რაც აქამდე არა ყოფილა. ხილმი-ფაშამ უპასუხა, ამის შესახებ ინსტრუქციები არა მაქვსო. ამნისტიის შესახებ მანიფესტი ჯერაც არ გამოუცხადებია პორტას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

მკითხველთა საყურადღებოთ

პირველ დაბარებისთანავე ჩემის ხარჯით ვუგზავნი ჩემ მოთხრობას „ვარინკას ამბავს“ და ლექსებს. გადაკითხვის შემდეგ მარკებით.

სადგურ მიხაილოვის კასირი **გიორგი ჩარხიშვილი.** (2—1)

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვადასხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 190$^{4}/_{5}$ წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—6)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

Дозв. ценз. Тифлисъ 27 января 190 ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва